



საკონსტიტუციო სასამართლო ინტერნეტ
მედიისთვის **სასამართლო პროცესების**
გადაღების აკრძალვის კონსტიტუციურობას
განიხილავს



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

www.gyla.ge

საკონსტიტუციო სასამართლო ინტერნეტ
მედიისთვის სასამართლო პროცესების
გადაღების აკრძალვის

კონსტიტუციურობას განიხილავს

საკონსტიტუციო სასამართლო 2024 წლის 29 თებერვალს იწყებს შპს **ბ** ცენტრების ქსელის **ბ** სარჩელის არსებით განხილვას. საქმეს არსებითად განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.

ბ სასამართლოების შესახებ **ბ** საქართველოს ორგანული კანონის მე-13 პრიმა მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, სასამართლო პროცესის გადალების ექსკლუზიურ უფლებას ანიჭებს საზოგადოებრივ მაუწყებელს. იმ შემთხვევაში თუ, ეს უკანასკნელი არ გამოხატავს ინტერესს, სასამართლო პროცესის გადალების უფლება ენიჭება საერთო საეთერო მაუწყებელს (ტელევიზია და რადიო, რომელსაც გააჩნია საინფორმაციო პროგრამები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის გადაცემები). თუ პროცესის გადალების სურვილს რამდენიმე საერთო მაუწყებელი გამოთქვამს, მაშინ წილისყრით შეირჩევა ის საერთო საეთერო მაუწყებელი, რომელსაც სასამართლო პროცესის გადალების უფლება ექნება. როგორც საზოგადოებრივ მაუწყებელს, ისე საერთო მაუწყებელს ეკისრება ვალდებულება, მათ მიერ გადაღებული ვიდეომასალა მიაწოდონ სხვა მედია საშუალებას.

არსებული რეგულაციის მიხედვით, კონკრეტული პროცესის გადალების მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის ან საერთო საეთერო მაუწყებლების ინტერესის არარსებობის პირობებშიც, ინტერნეტ და ბეჭდურ მედიას არ აქვს სასამართლო პროცესის გადალების შესაძლებლობა. მსგავსი შემთხვევა ჰქონდა სწორედ მოსარჩელეს, რომელიც ფლობს ისეთ ინტერნეტ პორტალს როგორიცაა, **ბ** და **ა** პროცესის გადალების უფლება შეეზღუდა თელავის რაიონული სასამართლოს მიერ.

ამდენად, გასაჩივრებული ნორმები ინტერნეტ მედიას უკრძალავს სასამართლო პროცესის გადალებას/პირდაპირ ეთერში გაშვებას, მაშინაც კი, როცა პროცესს არ ესწრება და არ აშუქებს საზოგადოებრივი მაუწყებელი ან სხვა საერთო საეთერო მაუწყებელი. საქმეში დავის საგანს წარმოადგენს **ბ** სასამართლოების შესახებ **ბ** საქართველოს ორგანული კანონის 131 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან და მე-17 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებთან მიმართებით.

მოსარჩელის ინტერესებს სასამართლოში საია წარმოადგენს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ამ საქმეებს საია აწარმოებს USAID მედია პროგრამის მხარდაჭერით.